



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010126750003718

20 / სექტემბერი / 2018 წ.
972/ს

**2018 წლის 03 სექტემბრის N259 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02;) -
სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს
მიერ განხორციელებული სანიტარული ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული
რესურსის (სოჭის და ნაძვის III და IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) –სულ
143.070 - მ3) შედეგების გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის #50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სანიტარული ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (წიწვოვანი 143.070 მ³) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N259) გამოცხადების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის მოადგილის 2018 წლის 27 აგვისტოს N836/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 17 სექტემბრის N18633/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის 03 სექტემბერს ჩატარებული N259 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01 და N02 - (სოჭის და ნაძვის ჯიშის III და IV ხარისხის მერქნული რესურსი - 143.070 მ³) შედეგებით ლოტი N01 და N02 გამოცხადდა ჩაშლილად, რადგან აუქციონში მონაწილეობა არავის მიუღია:

1. აუქციონი N259 - ლოტი N01 - 5.190 მ³ (III სოჭი).
2. აუქციონი N259 - ლოტი N02 - 137.88 მ³ (IV სოჭი-ნაძვი).

2. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს 50-ე მუხლის, პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონი ითვლება ჩაშლილად, თუ ელექტრონულ აუქციონზე ვერ განხორციელდა ქონების რეალიზაცია.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

